შპს ,,ფულ ჰაუსი“-ის (ს/კ 405143303) მიერ ორგანიზებული

სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობები (რეგლამენტი)

I. სათამაშო აპარატების სალონის ძირითადი ინფორმაცია

1. სათამაშო აპარატების სალონი მოეწყობა შპს-ს ,,ფულ ჰაუსი“ (ს/კ 405143303) მიერ მისამართზე: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №5, ნაკვეთ №381-ზე არებული შენობა - ნაგებობის I სართულზე, ფართი №2 (დარბაზი N1)
2. სათამაშო აპარატების სალონი მუშაობს ყოველდღე 11:00 საათიდან 02:00 საათამდე.
3. შპს “ფულ ჰაუსის” იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ, #33
4. სათამაშო აპარატების სალონში მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება სამუშაო საათების განმავლობაში: ყოველდღე 11:00 საათიდან 02:00 საათამდე. მოგება შესაძლოა გაიცეს მოგების თარიღიდან 30 დღის განმავლობაში.
5. 18 წლამდე ასაკის მოქალაქეები სათამაშო აპარატების სალონში არ დაიშვებიან
6. რეალური სათამაშო აპარატების სალონის გარდა, ორგანიზატორი აწყობს სამორინეს სისტემურ-ელექტრონული ფორმით. სამორინეს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის წესები და პირობები განისაზღვრება სისტემურ-ელექტრონული ფორმით გათამაშების რეგლამენტით.
7. სათამაშო აპარატების სალონი ფუნქციონირებს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის № 19-06/233 საფუძველზე.

1. სათამაშო აპარატების სალონის უსაფრთხოება

ა) სათამაშო აპარატების სალონის ადმინისტრაცია საკუთარი თანამშრომლების ან დაქირავებული კომპანიის მეშვეობით იცავს მოთამაშეთა და სათამაშო აპარატების სალონის თანამშრომელთა უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს. სათამაშო აპარატების სალონის აკმაყოფილებს სანიტარულ, ჰიგიენურ და სხვა კანონმდებლობით განსაზღვულ ნორმებს. პიროვნება, რომელიც სათამაშო აპარატების სალონის რაიმე ფორმით დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა უსაფრთხოებას, დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნება სათამაშო აპარატების სალონიდან და შემდგომში ადმინისტრაცია უფლებას იტოვებს აღნიშნული პირი აღარ დაუშვას სათამაშო აპარატების სალონში. ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი რეაგირება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) სათამაშო დარბაზში, სალაროსთან, შემოსასვლელში და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. სათამაშო დარბაზში, სალაროსთან და შემოსასვლელში ვიდეოჩაწერა მიმდინარეობს სათამაშო აპარატების სალონის მუშაობის მთელ პერიოდში, ხოლო გარე პერიმეტრზე ვიდეოჩაწერა მიმდინარეობს მუდმივად. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ჩანაწერები ინახება სულ ცოტა 30 დღის მანძილზე.

გ) სათამაშო აპარატების სალონის ენერგოსისტემა უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი.

2. სათამაშო აპარატების სალონის მუშაობის წესები და მოქცევის წესები

ა) სათამაშო აპარატების სალონში აკრძალული და დაუშვებელია შემდეგი ქმედებები:

- სიტყვიერი ან ფიზიკური მუქარა ხელმძღვანელ ან მომუშავე პერსონალზე;
- კამათით, ყვირილით ან ხმაურით გამოწვეული უწესრიგობა;
- ქონების დაზიანება, განადგურება ან გაფუჭება;
- არალეგალური ნივთიერებების გამოყენება;
- იარაღის ტარება;
- რიგგარეშე განზრახ ქმედება თამაშის დროს;
- ვიდეო ან ფოტოგადაღება;

- ნებისმიერი ისეთი ქმედება ან ტექნიკური საშუალების გამოყენება, რაც ხელყოფს შემთხვევითობის პრინციპს.

ბ) სათამაშო აპარატების სალონის ხელმძღვანელობა იტოვებს უფლებას მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სათამაშო აპარატების სალონის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

გ) სათამაშო აპარატების სალონის ხელმძღვანელობა უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ, ახსნა-განმარტების მიცემის გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს ნებისმიერი მომხმარებლის მომსახურება. ტექნიკური ხარვეზით გამოწვეულ შედეგზე პასუხისმგებლობა ეხსნება როგორც სათამაშო აპარატების სალონის ხელმძღვანელობას, ისე მომხმარებელს.

დ) რომელიმე წესის არასწორი ინტერპრეტაციის ან მოთამაშის მიერ რაიმე სახის არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაწესებულება არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე.

სათამაშო აპარატების თამაშების მოკლე აღწერილობა

FRUIT COCKTAIL

5 დოლურიანი ვიდეო სლოტ თამაში. ჯოკერი ცვლის შემდეგ სიმბოლოებს:საზამთრო, მსხალი, ლიმონი, ვაშლი, გარგარი და ალუბალი. ეკრანზე სამი მარწყვის მოსვლისას მოთამაშეს ბონუსში აქვს მხოლოდ ერთი ცდა, 4 მარწყვისას ორი ცდა, ხოლო 5 მარწყვის მოსვლის შემთხვევაში ეძლევა სამი ცდა. ბონუს თამაში მოთამაშის დამოუკიდებლად მიმდინარეობს. სათამაშო ეკრანის ცენტრში მოქცეულია 3 დოლურა, მის პერიმეტრზე მოთავსებულია სურათები სიმბოლოების გამოსახულებებით. ყველას თავისი ღირებულება აქვს. მათზე მაღალი სიჩქარით მოძრაობს ნათება საათის ისრის მიმართულებით (რომელიც, თანმიმდევრულად გადადის სიმბოლოებზე). გარკვეული დროის შემდეგ ნათება ნელდება და დოლურებზე თანმიმდევრობით ჩერდებიან. თუ ის გაჩერდება სიმბოლოზე, რომელიც დაფიქსირდება ერთ-ერთ დოლურაზე, მაშინ მოგება შეადგენს სიმბოლოს (ობიექტის) ღირებულებას გამრავლებული დადებული ფსონის ოდენობაზე. თუ ის გაჩერდება სიმბოლოზე, რომელიც არ დაფიქსირდა ერთ-ერთ დოლურაზე, მაშინ მოგება არ იზრდება. თუ იგი გაჩერდება “EXIT”-ის გამოსახულებაზე, მაშინ ბონუს-თამაშის ცდა ერთით ნაკლები ხდება, თუ ერთი ცდის საშუალება იყო, ბონუს თამაში სრულდება, ხოლო მეტი ცდის შემთხვევაში ბონუს თამაში გრძელდება მანამ, სანამ არ ამოიწურება ყველა ცდა.

გაორმაგების თამაშში მოთამაშეს ეძლევა შანსი გააორმაგოს მოგება, თუ გახსნის დილერზე მაღალ ბანქოს: მოთამაშემ 4 დახურული ბანქოდან უნდა აირჩიოს ერთი რომელიმე ბანქო. თუ მოთამაშის მიერ არჩეული ბანქო დილერის ბანქოზე მაღალი იქნება, მაშინ მოგება გაორმაგდება. თუ მოთამაშის მიერ არჩეული ბანქო ტოლი იქნება დილერის ბანქოსი, მაშინ მოგება არ იცვლება. ხოლო,თუ მოთამაშის ბანქო უფრო დაბალი იქნება ვიდრე დილერის, მაშინ მოგება ნულდება. მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს გაორმაგების თამაში და აიღოს კუთვნილი მოგება მაშინაც კი, როცა დილერის ბანქო გახსნილია.

CRAZY MONKEY

5 დოლურიანი ვიდეო სლოტ თამაში. სამი ან მეტი მაიმუნის სიმბოლოს მოსვლისას იწყება ბონუს თამაში. ეკრანზე გამოჩნდება 5 ცალი ჩამოშვებული თოკი, შესაძლებელია ნებისმიერი თანმიმდევრობით თოკების არჩევა, მოთამაშე ირჩევს და ქაჩავს თოკებს შესაბამისი ღილაკით, თუ ჩამოქაჩვის შემდეგ ჩამოვარდა ბანანების გროვა, მაიმუნი გადაყლაპავს მათ და მოთამაშე მიიღებს მოგებას. არსებული ფსონი იზრდება 1-დან 50-მდე ქულით და ასე ყოველ ჯერზე. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მძიმე საგანი(აგური) ვარდება მაიმუნის თავზე და ბონუს თამაში სრულდება, მოგებული ქულები ნარჩუნდება და ემატება მოთამაშის კრედიტს. თუ მოთამაშე თამაშობს მაღალ ფსონებზე, მაიმუნს აფარია თავზე ჩაფხუტი, რომელიც იცავს მაიმუნს ერთი მძიმე საგნის დაცემისაგან (ე.ი. აქვს დახმარება). სუპერ ბონუს თამაში იწყება იმ შემთხვევაში, თუ ბონუს თამაშის დროს მოთამაშემ შეძლო ხუთივე თოკის წარმატებით ჩამოხსნა. ეკრანზე ჩნდება 2 ჩარჩო, მოთამაშემ უნდა გამოიცნოს თუ რომელ მათგანშია მომგებიანი ქულები. თუ ვერ გამოიცნობს სუპერ ბონუსი სრულდება, თუმცა უკვე მიღებული ბონუს ქულები არ იკარგება.

გაორმაგების თამაშში მოთამაშეს ეძლევა შანსი გააორმაგოს მოგება, თუ გახსნის დილერზე მაღალ ბანქოს. მოთამაშემ 4 დახურული ბანქოდან უნდა აირჩიოს ერთი რომელიმე ბანქო. თუ მოთამაშის მიერ არჩეული ბანქო დილერის ბანქოზე მაღალი იქნება, მაშინ მოგება გაორმაგდება. თუ მოთამაშის მიერ არჩეული ბანქო ტოლი იქნება დილერის ბანქოსი,

მაშინ მოგება არ იცვლება. ხოლო, თუ მოთამაშის ბანქო უფრო დაბალი იქნება ვიდრე დილერის, მაშინ მოგება ნულდება. მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს გაორმაგების თამაში და აიღოს კუთვნილი მოგება მაშინაც კი, როცა დილერის ბანქო გახსნილია.

№	აპარატის დასახელება	მოდიფიკაცია	თამაშის დასახელება	მწარმოებელი ქვეყანა	გამოშვების წელი	საქარხნო ნომერი	მინ. ფსონი	მაქს. ფსონი	მაქსიმალური მოგების გაცემა
1	Game Soft	ვიდეო სლოტი	FRUIT COCKTAIL	ტაივანი	2008	25046850	0.05	11.25	5000
2	Game Soft	ვიდეო სლოტი	FRUIT COCKTAIL	ჩინეთი	2007	074418	0.05	11.25	5000
3	Game Soft	ვიდეო სლოტი	CRAZY MONKEY	სომხეთი	2006	00426	0.05	11.25	5000

შპს ,,ფულ ჰაუსი“ (ს/კ 405143303)

დირექტორი,

გია დუმბაძე

სამორინის სისტემურ-ელექტრონული ფორმით გათამაშების რეგლამენტი

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესები შეთანხმებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან და ადგენენ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობის და მათში მონაწილეობის მიღების პირობებს.
2. ინტერნეტ–სამორინეს აწყობს შპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში კომპანია), რომელიც ფლობს ნებართვას № 19-06/233.
3. სისტემურ–ელექტრონული ფორმით, ინტერნეტის მეშვეობით მოწყობილია და ფუნქციონირებს ვებ–გვერდი მისამართით: WWW.CROCOBET.COM რომელზეც განთავსებულია თამაშობები და ამ რეგლამენტში გათვალისწინებული თამაშობათა წესების შესაბამისად მიმდინარეობის თამაშობა. ვებ–გვერდი ფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის სამორინის მართვა და ორგანიზება ხდება ფაქტიურ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #33
4. რეგისტრაციისა და თამაშის დაწყების წინ, მოთამაშეები ვალდებულნი არიან გაეცნონ ინტერნეტ–სამორინეს წესებს, რომელიც მოთამაშეთა უფლებების დაცვის მიზნით, განთავსებულია სამორინეს ვებ–გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხებზე, რომელიც გამოქვეყნებულია სამორინეს ვებ–გვერდზე და შესაბამისად, უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა, პრეტენზიები არ მიიღება.
5. ყველა მოთამაშე ვალდებულია კომპანიის ვებ გვერდზე WWW.CROCOBET.COM რეგისტრაციის გავლისა და ფსონის დადების წინ გაეცნოს წინამდებარე წესებს. გათამაშების წესების არცოდნა არ მიიღება არგუმენტად ფსონის გასაუქმებლად, სხვა სადავო საკითხის გადასაწყვეტად ან პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად.
6. მოთამაშის მიერ რეგისტრაციის გავლა და ფსონის დადება ნიშნავს რომ ის ეთანხმება კომპანიის მიერ დადგენილ გათამაშების წესებს.
7. 18 წლამდე ასაკის პირისათვის აზარტული ან/და მომგებიან თამაშობაში მონაწილეობა აკრძალულია. 18 წლამდე პიროვნებისათვის აზარტული თამაში ითვლება უკანონო ქმედებად.
8. ფსონები მიიღება 18 წელს მიღწეული პირებისაგან, რომლებიც ეთანხმებიან კომპანიის გათამაშების წესებს. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მოთამაშეს.
9. კომპანიის ვებ-გვერდზე რეგისტრაციისათვის, მოთამაშე თავდაპირველად შედის ვებ–გვერდზე WWW.CROCOBET.COM შემოთავაზებულ სარეგისტრაციო ფანჯარაში და სავალდებულო წესით ავსებს რეგისტრაციისთვის აუცილებელ ველებს: სახელსა და გვარს, პირად საიდენტიფიკაციო სახელს (ე.წ. „ user name “–ს) პაროლს, მის პირად ნომერს (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად), დაბადების თარიღს, თვეს და წელს, პაროლს, საკონტაქტო და სხვადასხვა პირად მონაცემებს. ამის შემდგომ პირი ადასტურებს რომ გაეცნო გათამაშების წესებს და შეუსრულდა 18 წელი, რის შედეგადაც სისტემა არეგისტრირებს მომხმარებელს და ანიჭებს მას პინ-კოდს (შესაძლოა, მომხმარებელს მიეცეს საშუალება თავად აირჩიოს პინ-კოდი), რომელიც ინდივიდუალურია თითოეული მოთამაშისთვის და ინტერნეტ მონაწილეობის მიღების საშუალებას იძლევა. პინ-კოდის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია თანხის დამატება ან თანხის გატანა ორგანიზაციიდან.
10. რეგისტრაციის შედეგად მინიჭებული პინ-კოდი არის საიდუმლო და იკრძალება მისი გასხვისება ან მოთამაშის მიერ მისი გადაცემა მესამე პირისთვის. ამ შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე კომპანიის ადმინისტრაცია სრულიად იხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობა ეკისრება მოთამაშეს.
11. მოთამაშის მხრიდან თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას:
    - დაბლოკოს მოთამაშის ვებ–გვერდზე შემოსვლა;
    - გააუქმოს ანგარიში და დაუბრუნოს მოთამაშეს მისი კუთვნილი თანხა;
    - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს შესაბამის ორგანოებს თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით.
12. ყოველ დარეგისტრირებულ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ანგარიში. დარეგისტრირებულ მოთამაშეს არ შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია თავიდან. ამ წესის დარღვევისათვის საიტის ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას დაბლოკოს ასეთი ანგარიში.
13. კომპანია უფლებას იტოვებს ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე უარი უთხრას მოთამაშეს ვებ–გვერდზე რეგისტრაციის გავლაზე ან ფსონის დადებაზე.

14. მოთამაშის მიერ ბალანსის შევსების დროს მის მიერ თანხის სხვის პირად ნომერზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, კომპანიის ადმინისტრაცია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან სხვა ანგარიშზე გადატანასთან დაკავშირებით.
15. დეპოზიტზე თანხის შეტანა და გატანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით წესით. უნაღდო ანგარიშწორებით თანხის შეტანა და გატანა შესაძლებელია პარტნიორი ბანკების და სხვა

ელექტრონული სადეპოზიტო საშუალებების მეშვეობით. ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელია მისამართებზე:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“ სალაროები, სადაც ხდება ნაღდი ფულის შეტანა / გატანა .

სალაროები განთავსებულია შემდეგ ქალაქებსა და მითითებულ მისამართებზე:

სერვისცენტრის მისამართი	მუშაობის გრაფიკი	
თბილისი	**სამუშაო საათები (ყოველ დღე)**	**დასვენების დრე**
ქ.თბილისი გურამიშვილის 70	11:00-19:00	კვირა
ქ.თბილისი პეკინის 4ა	24/7	
ქ.თბილისი პეკინის 33 ა (სათავო ოფისი)	10:00-18:00 /შაბათ 11:00-18:00	კვირა
ქ. თბილისი ყაზბეგის 19	24/7	
ქ.თბილისი ცაბაძის 8	24/7	
ქ.თბილისი ხიზანიშვილის 8	24/7	
ქ.თბილისი ვარკეთილის მეტროს მიმდ.ტერიტორია	24/7	
ქ.თბილისი ვაგზლის 2 (ოქროს ბირჟა)	9:00-18:30 /შაბათი-კვირა 10:30-18:30	
ქ.თბილისი ცაბაძის 8ბ (ოქროს ბირჟა)	11:00-18:30	
კახეთი		
ქ.თელავი ქ.წამებულის 11	10:00-18:00	
ქ.წნორი თავისუფლების 7	10:00-18:00	კვირა
ქ.საგარეჯო რუსთაველის 166	10:00-18:00	კვირა
ქ.ლაგოდეხი ზაქათალას 5ა	10:00-18:00	კვირა
აჭარა		
ქ.ქობულეთი აღმაშენებლის 112	10:00-18:00	კვირა
ქ.ბათუმი ჭავჭავაძის გამზ. 22	24/7	
ქ.ბათუმი გორგილაძის 49	10:00-18:00	კვირა
ქ.ბათუმი ჭავჭავაძის და თავდადებულის კვეთა	10:00-18:00	კვირა
ქვემო ქართლი		
ქ.რუსთავი მესხიშვილის და ლეონიძის კვეთა	10:00-18:00	კვირა
ქ.მარნეული რუსთაველის 37	10:00-18:00	კვირა
შიდა ქართლი		
ქ.კასპი დავით აღმაშენებლის 2	11:00-18:00	კვირა
ქ. ხაშური რუსთაველის 39	10:00-18:00	კვირა
ქ.გორი რუსთაველის 67	10:00-19:00	კვირა
იმერეთი		
ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 48	10:00-19:00	
ქ.ქუთაისი ბუხაიძის 20	24/7	
ქ.სამტრედია ჭავჭავაძის 10	10:00-19:00	
ქ.ტყიბული რუსთაველის N5	10:00-19:00	
ქ.ზესტაფონი აღმაშენებლის 87	10:00-19:00	
ქ.საჩხერე აღმაშენებლის 2	10:00-18:00	
ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 67 (ბირჟა)	10:00-18:00	კვირა

სამეგრელო		
ქ.ფოთი ჭანტურიას 11	10:00-18:00	
ქ.ფოთი ფარნავაზ მეფის N 3	10:00-18:00	
ქ.სენაკი რუსთაველის 243	10:00-18:00	
ქ.ზუგდიდი კოსტავას 56	10:00-18:00	კვირა
ქ.ზუგდიდი რუსთაველის 101	10:00-19:00	კვირა
გურია		
ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას 122/21	10:00-18:00	კვირა
ქ.ოზურგეთი თაყაიშვილის 2	10:00-18:00	კვირა
სამცხე ჯავახეთი		
ქ.ნინოწმინდა თავისუფლების 21	10:00-18:00	კვირა
ქ.ახალქალაქი თავისუფლების 24	10:00-18:00	კვირა
ქ.ახალციხე კოსტავას 59	10:00-18:00	კვირა

შპს მანი მუვერს, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, სადაც ხდება ნაღდი ფულის შეტანა / გატანა.

სერვისცენტრის მისამართი	**მუშაობის გრაფიკი**	
თბილისი	**სამუშაო საათები (ყოველ დღე)**	**დასვენების დრე**
ქ. თბილისი, პეკინის ქ. # 25. პირველი სართული	ორშ-პარას 10:00 -23:00; შაბათი-კვირა 10:00-19:00	
ქ. თბილისი, ნინუას ქ. # 3. პირველი სართული	10:00 -18:00	შაბათი/კვირა

ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ზოგადი წესები

1. შპს „ფულ ჰაუსი“ (შემდგომში კომპანია) არის იურიდიული პირი, რომელიც მფლობელობაშიც არის ვებ გვერდი https://CROCOBET.COM (შემდგომში “საიტი”, ან “ვებსაიტი”, ან “ვებ-გვერდი”). ყველა თამაში რომელიც განთავსებულია www.crocobet.com-ზე ეფუძნება მხოლოდ რეალურ ფულზე თამაშს.
2. წინამდებარე წესები წარმოადგენს სამართლებრივ შეთანხმებას, მოთამაშესა (გათამაშების მონაწილე, ანუ პიროვნება რომელიც დარეგისტრირებულია ვებ გვერდზე www.crocobet.com) და კომპანიას შორის.
3. ყველა მოთამაშე ვალდებულია კომპანიის ვებ-გვერდზე www.crocobet.com -ზე რეგისტრაციისას გაეცნოს ვებ გვერდით სარგებლობის წესებს. რეგისტრაცია ნიშნავს დარეგისტრირებული მომხმარებლის თანხმობას კომპანიის ვებ გვერდით www.crocobet.com სარგებლობის და გათამაშების წესებზე.
4. წესების არ ცოდნა არ წარმოადგენს ფსონის გაუქმების ან ხელშეკრულების მოშლის მიზეზს და წინამდებარე წესების თანახმად, მოთამაშეს არ ანთავისუფლებს ფსონიდან გამომდინარე მისი ვალდებულებებისაგან. მოთამაშის მის განთავსებულ ფსონთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხი გადაწყდება კომპანიის გათამაშების წესების თანახმად.
5. კომპანია უფლებას იტოვებს შეცვალოს ნებისმიერი გათამაშების წესი მის სისტემაში რეგისტრირებული მოთამაშეების გაფრთხილების გარეშე.
6. სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები ვალდებულნი არიან პერიოდულად გადაამოწმონ და გაეცნონ კომპანიის მიერ მიღებულ დებულებებსა და გათამაშების პირობებში შეტანილ ცვლილებებს.
7. საიტზე მოცემულ სხვადასხვაენოვან ტექსტებს შორის შეუსაბამობისას, პრიორიტეტი ენიჭება ქართულ ენას.
8. კომპანიის კუთვნილ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის შედეგად მოთამაშის მიერ შეყვანილი პაროლი არის საიდუმლო და სასტიკად იკრძალება მისი განდობა მესამე პირზე. მხოლოდ მოთამაშეა საკუთარი პაროლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი. კომპანია არ აგებს პასუხს www.crocobet.com -ზე რეგისტრირებული მოთამაშეების პაროლის უსაფრთხოებაზე და იმ ზიანზე რომელიც შეიძლება მათ მიადგეთ იმ შემთხვევაში, თუ არ იზრუნებენ საკუთარი ანგარიშის დეტალების უსაფრთხოებაზე.

9. რეგისტრაციისას მომხმარებელი ვალდებულია ზუსტად და სრულად მიუთითოს პირადი მონაცემები. კომპანია იტოვებს უფლებას დაბლოკოს, ასევე უარი უთხრას სისტემიდან თანხის გატანაზე იმ მოთამაშეებს, რომლებმაც მიუთითეს არასწორი პირადი მონაცემები მონაცემები.
10. მოთამაშის პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტა ან სხვა) შეცვლის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში შეატყობინოს კომპანიას აღნიშნულის თაობაზე. კომპანიის ადმინისტრაცია იტოვების უფლებას ცვლილების შედეგად რეგისტრირებულ მომხმარებელზე არ გასცეს მოგებული თანხა.
11. მოთამაშის მიერ ელექტრონული სისტემებიდან (მომენტალური გადახდის აპარატი, ინტერნეტ-გადახდები და სხვა) ბალანსის შევსების დროს სხვის ანგარიშზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, კომპანია იხსნის ყოველგავრ პასუხისმგებლობას თანხის დაბრუნებასთან ან/და გადატანასთან დაკავშირებით. შეცდომით სხვის ანგარიშზე გადარიცხული თანხის დაბრუნება მომხმარებლისათვის შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
12. პიროვნებას www.crocobet.com -ზე აქვს მხოლოდ ერთი ანგარიშის გახსნის უფლება. დარეგისტრირებულ მომხმარებლებს არ შეუძლიათ მეორედ დარეგისტრირდნენ, როგორც ახალი მომხმარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას აქვს უფლება, გააუქმოს კლენტის მიერ გაკეთებული ყველა ფსონი, რომელიც იქნა განხორციელებული შესაბამის ანგარიშიდან და ამ კონკრეტულ მომხმარებელს დაუბლოკოს ანგარიში განუსაზღვრელი ვადით.
13. კომპანია იტოვებს უფლებას შეუჩეროს ანგარიში იმ პირებს, რომლებიც www.crocobet.com-ზე საკუთარ ანგარიშს იყენებენ არამიზნობრივად. ანუ თუ მოთამაშე მის მიერ ჩარიცხული თანხის მინიმუმ 30%-ს არ გამოიყენებს სათამაშოდ თანხის შეტანიდან 10 დღის განმავლობაში, ან თამაშის პროცესში ადმინისტრაციის მიერ შემჩნეული იქნება შეთანხმებული თამაში (მაგალითად, ხელოვნური წაგება ან ხელოვნური მოგება), კომპანია იტოვებს უფლებას ასეთ მომხმარებლებს შეუზღუდოს ანგარიშით სარგებლობის უფლება მინიმუმ 60 დღით, რათა დადგინდეს კონკრეტული მოთამაშეების ამ ქმედების მიზეზი. ასევე კომპანია იტოვებს უფლებას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეუზღუდოს ამგვარ მოთამაშეებს თანხის გატანა, ან თანხების გაცემის შემთხვევაში მოთამაშეს ჩამოაჭრას გატანილი თანხის 20%.
14. თუ გაჩნდება ეჭვი, რომ მოთამაშეები იყენებენ კოლექტიური თამაშის მეთოდს (შეთქმულება), კომპანია იტოვებს უფლებას ჩაატაროს ამგვარი ფაქტების გამოძიება ან/და დაბლოკოს შემჩნეული პირების ანგარიშები, ან/და განუსაზღვრელი ვადით ჩამოართვას ასეთ მომხმარებლებს მათი სარგებლობის ან თანხის გატანის უფლება.
15. www.crocobet.com-ის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებელი პირადად არის პასუხისმგებელი სისტემით სარგებლობის პროცესში მომსახურეობის მისაღებად თავისი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებელსა და კომპანიის ქსელში წარმოქმნილი ხარვეზის გამო მოთამაშეზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.
16. მომსახურების მიღების მთელი პერიოდის განმავლობაში "მოთამაშე" იძლევა გარანტიას და აცხადებს თანხმობას შემდეგზე:
    - თამაშის შედეგად არსებობს მოთამაშის მიერ ფულადი სახსრების წაგების რისკი და კომპანია პასუხისმგებელი არ არის ასეთი სახის ზიანზე;
    - მოთამაშე თავისი ნებით თანხმდება მომსახურების მიღებაზე, ამასთან თამაშის ტიპს არჩევს თვითონ მოთამაშე;
    - მოთამაშე იღებს ერთპიროვნულ ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს მისთვის გაცემულ მოგებულ თანხებს;
    - მოთამაშე პასუხისმგებელია მომსახურეობის მისაღებად საჭირო თავისი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე.
17. გამომდინარე იქიდან, რომ ვებ/კომპიუტერული სისტემები და პროგრამები არ არის 100% დაცული და უსაფრთხო შეცდომებისაგან და არასანქცირებული შეღწევისაგან, კომპანია არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობაზე, ხარვეზებზე, ვირუსებზე ან სხვა შეცდომებზე, რომელთა შედეგად შეიძლება დაკარგულ იქნას მონაცემები ან სხვაგვარად დაზიანდეს მომხმარებლის კომპიუტერი ან პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე კომპანია არ არის ვალდებული უზრუნველყოს დამატებითი ან სარეზერვო ქსელი და/ან სისტემებით.
18. ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი განიხილება როგორც შტატგარეშე გარემოება (ისეთი, როგორიცაა მაგალითად: "No Spin", "Invalid Game", ინტერნეტ პროვაიდერიდან კავშირის დაკარგვა ა.შ.) და მსგავს შემთხვევაში კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ასეთი გარემოების შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას დადებული ყველა ფსონი ანულირებულად ჩათვალოს და შესაბამისად, დადებული ფსონები

არ დაუბრუნოს მომხმარებელს დეპოზიტზე. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერნეტ–წყვეტა ან სხვა ტექნიკურ გაუმართაობა ხდება იმ ადგილებში, სადაც კომპანია სთავაზობს კომპიუტერზე ხელმწისაწვდომობას მომხმარებელს, მათ შორის კომპანიის ობიექტბეში.

19. www.crocobet.com-ის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებელის მიერ თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას:
    - აუკრძალოს ფსონის დადება ან გააუქმოს უკვე დადებული ფსონი;
    - გააუქმოს კლიენტის ანგარიში და ჩამოწეროს მისი ფულადი ბალანსი;
    - გააუქმოს და დაუბლოკოს სისტემასთან წვდომის უფლება;
    - მიმართოს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ნებისმიერი მის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის საეჭვო ქმედების აღსაკვეთად;
    - სასამართლოს გზით მოსთხოვოს მოთამაშეს მიყენებული ზარალისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.
20. თამაშის დროს ტექსტური შეტყობინებების გაცვლისას მოთამაშეებს ეკრძალებათ უკანონო, უცენზურო, ამორალური ხასიათის მატარებელი, დამუქრების ხასიათის მატარებელი და სხვა მსგავსი ტექსტებისა და ტერმინების გამოყენება. ეკრძალებათ ნებისმიერი სახის პროდუქციის ან/და მომსახურების რეკლამირება. ამ შემთხვევაში ორგანოზატორი იტოვებს უფლებას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ცალმხრივად გათიშოს მოთამაშე, ან/და დაბლოკოს მისი ანგარიში, ან/და ჩამოწეროს ანგარიშზე არსებული ნაშთები.
21. თუ მომხმარებელს რაიმე მიზეზის გამო არასწორად დაერიცხა თანხა ანგარიშზე ან თამაშისას, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის წარმომადგენლობას. ასეთი თანხის სისტემიდან გატანის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს დაბლოკოს მისი ანგარიში, ან/და ამ ფაქტის შესახებ მიმართოს შესაბამის ორგანოებს, ან/და მოითხოვოს მომხმარებლისგან მატერიალური ზიანის ანაზღაურება. კომპანია აგრეთვე უფლებამოსილია მოახდინოს მოგებული თანხის ხელახალი გადაანგარიშება და ჩამოაჭრას მოთამაშეს შეცდომით დარიცხული თანხა, ან პირიქით.
22. კომპანია იტოვებს უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას ნებისმიერ პირს ვებ-გვერდზე www.crocobet.com-ზე რეგისტრაციის გავლაზე და ფსონის დადებაზე და არ მისცეს მას განმარტება უარის მიზეზზე.
23. კომპანია იტოვებს ინფორმაციის გადამოწმების უფლებას არაკანონიერი ქმედების თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე იტოვებს უფლებას აწარმოოს კერძო გამოძიება ასაკის ან სხვა ინფორმაციის/გარემოების დადგენის მიზნით.
24. იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომი არ არის მომხმარებლის ასაკის გადამოწმება, კომპანია იტოვებს უფლებას მოთამაშეს მოსთხოვოს ასაკის დადასტურება ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით ან პირადად. ასაკის დადასტურებამდე, შესაძლოა შეჩერდეს მომხმარებელთა ანგარიშები და მათი თანხები იქნეს დაკავებული მანამ, სანამ გათვალისწინებული ასაკი არ იქნება დამტკიცებული.
25. საიტის მომხმარებელი ვალდებულია არ დაუშვას მისი ანგარიშის ხელმისაწვდომობა არასრულწლოვანი პირებისთვის. კომპანიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით, ხოლო ნებისმიერ სადაო სიტუაციაში მიიჩნევა, რომ მომხმარებელი თავად არის პასუხისმგებელი გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანზე.
26. დაუშვებელია შეურაცხმყოფელი ქცევა მომხმარებლების მხრიდან კომპანიის თანამშრომლების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თავისი შეხედულებით ჩათვლის, რომ მომხმარებლის ქცევა ტელეფონის, პირდაპირი ჩატით, ელ-ფოსტით ან სხვა საშუალებებით იყო შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი კომპანიის ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს ან გააუქმოს მომხმარებლის ანგარიში საიტზე. ასეთ შემთხვევაში კომპანიას არ ეკისრება არანაირი ვალდებულება დააბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც შესაძლოა იყოს მომხმარებლის ანგარიშზე.
27. მკაცრად იკრძალება პროგრამული უზრუნველყოფის თავდაპირველი კოდის ან მისი ნებისმიერი ნაწილის შეცვლა, ადაპტირება, გადაყვანა, გადაკეთება, დეკომპილაცია, დარღვევა ან ნებისმიერი სხვა გზით მისი გამჟღავნების მცდელობა, ასევე აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის წარმოებულების (დერივაციების) შექმნა, წარმოება ან გავრცელება.
28. კომპანიას შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მოთამაშის ანგარიში (მათ შორის მისი მომმხარებლის სახელი და პაროლი) შეტყობინების გარეშე შემდეგ შემთხვევებში:
    - თუ ნებისმიერი მიზეზით კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას შეწყვიტოს მომსახურების გაწევა ყველა ან მხოლოდ კონკრეტული მოთამაშისთვის;
    - თუ კომპანია თვლის, რომ მოთამაშემ დაარღვია წინამდებარე რეგლამენტის (წესების) რომელიმე დებულება;

- თუ მოთამაშემ არაკანონიერად გამოიყენა მომსახურება ან ასეთი გამოყენება ეწინააღმდეგება წინამდებარე რეგლამენტის (წესების) არსს; ან
- ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელსაც კომპანია მისაღებად თვლის.

29. თუ მომხმარებლის ანგარიში დაიბლოკა ან გაუქმდა მოთამაშის მიერ რეგლამენტის (წესების), საიტის მოხმარების ზოგადი წესების, მოქმედი ნორმატიული აქტების ან რაიმე სხვა მარეგულირებელი პირობების დარღვევის გამო, კომპანია არ კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მოთამაშეს თანხა, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მის ანგარიშზე და მოთამაშე არ იქნება უფლებამოსილი წაუყენოს პრეტენზიები კომპანიას აღნიშნულთან დაკავშირებით.
30. არც კომპანია (მათ შორის, მისი თანამშრომლები ან უფლებამოსილი პირები) და არც კომპანიის პარტნიორები თუ მომწოდებლები არ არიან პასუხისმგებელი ნებისმიერ ზარალზე, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, რომელიც დადგა კომპანიის ან მათი შეცდომის მიზეზით.
31. მომხმარებელი ადასტურებს, რომ რეგისტრაციის დროს მითითებული, ასევე გადახდის განხორციელებასთან დაკავშირებით ოპერაციების შესრულებისას შეყვანილი ყველა მონაცემი არის სწორი, კანონიერი, ნამდვილი და სრული და შეესაბამება საკრედიტო/სადებეტო ბარათზე (ბარათებზე) ან სხვა გადახდის ანგარიშზე მითითებულ მონაცემებს, რომელიც გამოყენებულ იქნება მომხმარებლის ანგარიშზე თანხის კრედიტირების ან ანგარიშიდან დეპოზიტებისთვის. თუ მომხმარებელი იყენებს საკრედიტო/სადებეტო ბარათს ან სხვა გადახდის მეთოდებს, რომელიც არ არის გაფორმებული მის პირად სახელზე, კომპანია მიიჩნევს, რომ მომხმარებელმა მოიპოვა სრული თანხმობა მათი კანონიერი მფლობელისგან სამორინეს მომსახურებებში მათი გამოყენების შესახებ. კომპანია არ არის ვალდებული შეამოწმოს ასეთი თანხმობა და არ კისრულობს პასუხისმგებლობას მომხმარებლის განცხადებებთან დაკავშირებით წინამდებარე რეგლამენტის (წესების) საფუძველზე. თუ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი, უზუსტო, მცდარი ან არასრული, აღნიშნული მიიჩნევა წესების დარღვევად მომხმარებლის მხრიდან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ამ რეგლამენტში (წესებში) მოცემული შედეგები და პასუხისმგებლობა.
32. საეჭვო ან თაღლითური გადახდის შემთხვევაში, მათ შორის მოპარული საკრედიტო ბარათების გამოყენების ან ნებისმიერი სხვა თაღლითური მოქმედების შემთხვევაში (მათ შორის ნებისმიერი უკუდარიცხული თანხა, გადახდის გაუქმება), კომპანია ინარჩუნებს უფლებას დაბლოკოს მომხმარებლის ანგარიში, გააუქმოს გადახდა და დაბლოკოს/ჩამოწეროს ნაშთები. კომპანიას უფლება აქვს აცნობოს ნებისმიერ რელევანტურ ორგანოს (მათ შორის საკრედიტო სააგენტოებს) ნებისმიერი თაღლითური გადახდის ან სხვა უკანონო მოქმედებების შესახებ და შეუძლია გამოიყენოს ინკასირების სამსახური ფულის დასაბრუნებლად. თუმცა, არცერთ შემთხვევაში, კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი საკრედიტო ბარათების უნებართვო გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა საკრედიტო ბარათები გამოცხადებულია მოპარულად თუ არა.
33. კომპანია უფლებას იტოვებს დაარიცხოს გადარიცხვის საკომისიო მომხმარებლს, რომელიც მოახდენს საკუთარ ანგარიშზე თანხის შეტანას და გატანას ამ თანხის მინიმუმ 30%-ის გათამაშების გარეშე.

განსაკუთრებული პირობები

1. კომპანიას უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს შეცვალოს, შეამციროს, გაზარდოს ან/და საერთოდ გააუქმოს ნებისმიერი კოეფიციენტი, მათ შორის კოეფიციენტთა სიის გამოქვეყნების შემდეგაც.
2. თუ მოთამაშეს თანხა არასწორად დაერიცხა (მაგ. შედეგი შეცდომით იქნე შეტანილი), კომპანია იტოვებს უფლებას, მოახდინოს მოგებული თანხის ხელახალი გადაანგარიშება. იმ შემთხვევაში თუ გადაანგარიშების შემდეგ მოთამაშეს ექნება უარყოფითი ბალანსი, მოთამაშე ვერ დადებს ბილეთს ბალანსის შევსებამდე.
3. ყველა პრეტენზია და სადაო საკითხი განიხილება ფსონის დადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიღება.
4. ნებისმიერი ფსონის შესახებ ინფორმაცია ინახება: www.crocobet.com–ის მონაცემთა ბაზაში და სადაო საკითხის განხილვის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ელექტრონულ არქივში შენახულ და დაცულ ჩანაწერს.
5. წინამდებარე წესებით გაუთვალისწინებელი დავის წარმოქმნის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ნებისმიერი სადავო სიტუაციის წამოქმნის შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის ბალანსზე არსებული თანხა ასეთი სადავო სიტუაციის ამოწურვამდე ან ნებისმიერი სახით გადაწყვეტამდე.
6. კომპანია იტოვებს უფლებას, „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები წინამდებარე

წესდებაში, რომელიც წერილობითი ფორმით შეთანხმებული იქნება შემოსავლების სამსახურთან. ცვლილებები გამოქვეყნდება საიტის ვებ გვერდზე.

7. მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ვალდებულებების შეუსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორის) გარემოებებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეებზე. კერძოდ, სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, სამხედრო მოქმედებები, კარანტინის გამოცხადება ან სხვა სახის უბედურებები, რომლებიც ხდება იმ რაიონებში, რომლებიც ოფიციალურად ითვლებიან ზემოხსენებული მოვლენების გავლენის ქვეშ. ასეთ შემთხვევაში, კომპანია არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ განცდილ დანაკარგებზე. ფორს-მაჟორულ გარემოებებად აგრეთვე მიიჩნევა ისეთი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ცვლილებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარის მიერ პირობების შესრულებას.
8. კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხიმგებლობას მომხმარებლის წინაშე, თუ მის მიერ განცდილი ზარალი გამოწვეულია კომპანია ან მომხმარებლის პროგრამულ უზრუნველყოფაში ნებისმიერი უნებართვო შეღწევით ან ზეგავლენით, რომელიც შეიძლება იყოს, მაგრამ არ შემოიფარგლება პროგრამული ვირუსებით, პროგრამული უზრუნველყოფის თუ მის მატარებელ მოწყობილობებზე ნებით თუ უნებლიეთ ზემოქმედებით, რასაც შედეგად დროის მცირე ან დიდ მონაკვეთში მისი გაუმართავი ან გაუთვალისიწინებელი ოპერირება მოჰყვება.
9. საიტზე განთავსებულ თამაშებთან დაკავშირებით შესაძლებელია მომხმარებელს მოუწიოს იმ წესების გაცნობა და დათანხმება, რომლებიც თვითონ ამ თამაშების მომწოდებლების მიერ არის შედგენილი. იმ შემთხვევაში, თუ ერთდაიგივე სიტუაციას კომპანიის და მომწოდებლის წესები სხვადასხვანაირად არეგულირებს, უპირატესობა ენიჭება კომპანიის წესებს კომპანიის და მომხმარებლის ურთიერთობის დასარეგულირებლად.
10. იმ შემთხვევაში, თუ შეტანილი იქნა ცვლილებები „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ან სხვა მარეგულირებელ აქტებში, ამ რეგლამენტის (წესების) ისეთი დებულებები, რომლებიც არ შეესაბამება შეცვლილ რეგულაციებს, განიმარტება ახალი რეგულაციების შესაბამისად.

დავები და საჩივრები

1. ინფორმაცია დადებული ფსონის შესახებ ინახება მოგებული თანხის გაცემამდე. სადაო საკითხის განხილვის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის კომპიუტერულ ქსელში დაფიქსირებულ ჩანაწერს.
2. საჩივარი განსახილველად მიიღება ბილეთში აღნიშნულ ვარიანტში შეტანილი ღონისძიებებიდან, ყველაზე გვიან ჩატარებული თარიღიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ საჩივარი აღარ მიიღება.
3. იმ შემთხვევებში, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია და წინამდებარე წესებში აღწერილი არ არის, მოთამაშე ვალდებულია დაეთანხმოს კომპანიის დირექციის გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. კომპანია ვალდებულებას იღებს კონფიდენციალურად შეინახოს ყველა ინფორმაცია მოთამაშეებზე და ფსონებზე და არ გადასცეს ისინი მესამე პირებს ან სახელმწიფო ორგანოებს - გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება მოითხოვება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ან საერთაშორისო პარქტიკის შესაბამისად.
5. წინამდებარე რეგლამენტი (წესები) ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე და ის სავალდებულოა კოპანიის ყველა მოთამაშისათვის.

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესები ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე და ბათილად ითვლება ყველა მანამდე არსებული წესი. წინამდებარე წესები ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე და სავალდებულოა ინტერნეტ–სამორინის ვებ–გვერდზე მოთამაშე ყველა მომხმარებლისათვის.
2. ინტერნეტ–სამორინის ადმინისიტრაცია, მარეგულირებელ სახელმწიფო დაწესებულებასთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უფლებამოსილია შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება. ამასთან კომპანიის მიერ მისი საჯაროობა უზრუნველყოფილი იქნება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში.

EGT

Blue Heart - თამაში შედგება 4 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან.მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ, 3 ან მეტი ერთნაირი სიმბოლოს ან Wild-ჯოკერის სიმბოლოს (ლუჯი ქვა) სიმბოლოს დამთხვევით.Wild სიმბოლო გადაიქცევა ყველა სიმბოლოდ გარდა Scatter-ის სიმბოლოსი (Jewerly Shop) სიმბოლოსი. Wild სიმბოლო შესაძლოა დაფიქსირდეს მთელ ვერტიკალურ სვეტში და მაშინ მოგების ალბათობა გაცილებით მაღალია.მომგებიან ხაზსარ აქვს მინიშვნელობა Scatter-ის სიმბოლოს შემთხვევაში. თამაშს აქვს 100 აქტიური მომგებიანი ხაზი. მინიმალური აქტიური ხაზის რაოდენობა რომლითაც შესაძლებელია თამაშის დაწყება 1 ხაზით. მაქსიმალური მოგება, მომგებიან ხაზზე 5 Wild სიმბოლო გათვალისწინებით იმისა, რომ მთელი ვერტიკალური სვეტი შესაძლოა შეავსოს ერთნაირი სიმბოლოებით. 3 Scatter-ის 2, 3 ან 4სვეტში ნებისმიერ პოზიციაში დაფიქსირებისას იწყება 10 უფასო თამაში, შესაძლებელია უფასო თამაშებში კიდევ უფასო თამაშების განმეორება. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,03; 0,05; 0,10ლ.

Rise of Ra -თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 15 მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ, გარდა Scatter_ის. Wild „ხოჭო“ სიმბოლო ცვლის ყველა სიმბოლოს გარდა Scatter-ისა. ამდროს მოგება ორმაგდება.3 ან Scatter-ის სიმბოლოს გამოჩენისას ნებისმიერ პოზიციაში გვაძლევს 15 უფასო თამაშს. დაფიქსირებული ყველა კომბინაცია მრავლდება 3_ზე. ამ დროს შესაძლებელია კიდევ უფასო თამაშების განმეორების. როცა 3 ან მეტი Scatter_ის სიმბოლო დაფიქსირდება ნებისმიერ პოზიციაში.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია (Double up) მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,02; 0,05; 0,10ლ.

Burning Hot - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისგან. აქვს 5 აქტიური მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ. სიმბოლო „სამყურა ფოთოლი“ 2; 3; და 4 სვეტებში ცვლის ყველა სიმბოლოს იგივე სვეტში, „დოლარის“ და „ვარსკვლავის“ სიმბოლოს გარდა. 3 ან მეტი „დოლარის“ სიმბოლო ნებისმიერ პოზიციაში გვაძლევს მოგებას. 3 „ვარსკვლავის“ ნებისმიერ პოზიციაში 1,3, და 5 სვეტებში გვაძლევს მოგებას. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია (Double up) მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,03; 0,05; 0,10; 0,20ლ.

Dragon Reels - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან.აქვს 25 ხაზი,მი სი მაქსიმალური ხაზი შეადგენს 50 კრედიტს.მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ.Wild-ჯოკერი არის „ დრაკონის“ სიმბოლო რომელიც ცვლის ყველა სიმბოლოს scatter-ის გარდა. Scatter-ი არის „გველეშაპის“ სიმბოლო 3,4 ან 5 სკატერის მოსვლის შემთხვევაში გვაძლევს 10 უფასო ტრიალს ნამრავლ 2-ზე. უფასო ტრიალის დროს შესაძლებელია უფასო ტრიალის ჩამატება. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,02; 0,05; 0,10ლ.

40 Super hot - თამაში შედგება 4 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 40 აქტიური მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მარცხნიდან მარჯვნივ. Wild “7” სიმბოლო ცვლის ყველა სიმბოლოს Scatter_ის „ვარსკლავის“ გარდა. „7“ სიმბოლო შესაძლებელია დაფიქსირდეს მთელ ვერტიკალურ სვეტში და მაშინ მოგება გაიზრდება.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,02; 0,03; 0,05ლ.

Zodiac Wheel - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. თამაშს აქვს 5 აქტიური მომგებიანი ხაზი. ხაზზე მინიმალური ფსონი შეადგენს 3 და მაქსიმალურ 20კრედიტს. მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ. Wild „ზოდიაქოს ნიშნები“ სიმბოლო ცვლის ყველა სიმბოლოს 2,3,4 სვეტში Scatter_ის გარდა „წიგნი“ და „რუკა“_ ის სიმბოლოა.3 ან მეტი „წიგნის“ სიმბოლო გვაძლევსმოგებას, ხოლო 3 „რუკა“ სიმბოლო ნებისმიერ პოზიციაში 1,3,და 5სვეტში გვაძლევს მოგებას.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ

უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. აქვს დენომინაციის სისტემა : 0,03; 0,05; 0,10; 0,20ლ.

Fruits Kingdom - თამაში შეადგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან.მაქსიმალური ფსონი ხაზზე შეადგენს 30ლ აქვს 10 ხაზი.Wild- ჯოკერი არის „გვირგვინის“ სიმბოლო რომელიც ცვლის ყველა სიმბოლოს გარდა Scatter-ისა.Scatter-ი არის F“ვარსკვლავი“ 3,4,ან 5 ვარსკვლავის მოსვლის შემთხვევაში იწყება 15 უფასო ტრიალი, ყველა მოგებულ ქულებს ამრავლებს 3-ზე. უფასო ტრიალის დროს შესაძლებელია ბონუს თამაშის ჩამატების. თამაში დაფუძნებულია სხვადა სხვა ხილის სიმბოლიკაზე.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. აქვს დენომინაციის სისტემა : 0,02; 0,05; 0,10; 0,15ლ.

Age of Troy -თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 20 ხაზი, მაქსიმალური ფსონი ხაზზე შეადგენს 40 ლარს. ჯოკერი არის Wild „ცხენის“სიმბოლო რომელიც ცვლის ყველა სიმბოლოს გარდა სკატერისა. Scatter-ი არის (სენატი)-ს სიმბოლო.თამაშს აქვს უფასო თამაშის სისტემა. 3 ან მეტი სკატერის მოსვლის შემთხვევაში გაძლევთ 12 უფასო დატრიალებას ნამრავლი 3-ზე. შესაძლებელია უფასო თამაშის ჩამატება.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01, 0,02, 0,05, 0,10ლ.

Flamig Hot -თამაში შედგება 4 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან.მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ, 3 ან მეტი ერთნაირი სიმბოლოს Wild-ჯოკერის სიმბოლოს დამთხვევით ყველა სიმბოლო გადაიქცევა Wild გარდა Scatter-ისა (დოლარის). Wild სიმბოლო შესაძლებელია დაფიქსირდეს მთელ ვერტიკალურ სვეტში და მაშინ მოგების ალბათობა გაცილებით მაღალია. თამაშს აქვს 40ხაზი. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,02; 0,03; 0,05ლ.

20 Super Hot - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 20 აქტიური მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მარცხნიდან მარჯვნივ.Wild “7” სიმბოლო ცვლის ყველა სიმბოლოს Scatter_ის „ვარსკვლავის“ გარდა „7“ სიმბოლო შეიძლება დაფიქსირდეს მთელ ვერტიკალურ სვეტში და მაშინ მოგების ალბათობა იზრდება.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშის მაქსიმალური მოგება შეადგენს 50000ლ. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,01; 0,02; 0,05; 0,10ლ.

Royal Secrets - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისგან. თამაშს აქვს 10 აქტიური მომგებიან ხაზი. მოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ. სიმბოლო „სასახლე“ 2; 3 და4 სვეტებში ცვლის ყველა სიმბოლოს იგივე სვეტში, „გასაღების“ და „გვირგვინის“ სიმბოლოს გარდა. 3 ან მეტი „გასაღები“ სიმბოლო ნებისმიერ პოზიციაში გვაძლევს მოგებას. „გვირგვინის“ სიმბოლო ნებისმიერ პოზიციაში 1; 3, და 5სვეტებში გვაძლევს მოგებას.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია . მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამშის მაქსიმალური მოგება შეადგენს 50000ლ. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,02, 0,05; 0,10; 0,15ლ.

Ultimate Hot -თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 3 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 5აქტიური მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მარცხნიდან მარჯვნივ. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,03; 0,05; 0,10; 0,20ლ.

Amazing Amazonia- თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 10 მომგებიანი ხაზი.Mმოგება ფიქსირდება მომგებიან ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ. Wild (ჯოკერი) „მდინარე“ სიმბოლო ცვლის ყველა სიმბოლოს scatter-ის „პეპელას“ სიმბოლოს გარდა. ამ დროს მოგება ორმაგდება. 3 ან მეტი „პეპელას“ სიმბოლო გვაძლევს 20 უფასო თამაშს და მოგებას 3-ზე ამრავლებს. უფასო თამაშის მსვლელობისას 3 ან მეტი „პეპელა“ სიმბოლო გვაძლევს დამატებით 20 უფასო თამაშის საშუალებას.თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა

აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. თამაშს აქვს დენომინაციის სისტემა : 0,02; 0,05; 0,10; 0,15ლ.

5 Dazzling Hot - თამაში შედგება 3 ჰორიზონტალური და 5 ვერტიკალური სვეტისაგან. აქვს 5 აქტიური მომგებიანი ხაზი. მოგება ფიქსირდება მარცხნიდან მარჯვნივ. "ვარსკვლავი" სიმბოლო არის სკატერ-ი და შეიძლება დაფიქსირდეს ნებისმიერ პოზიციაზე. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. მოთამაშემ უნდა აირჩიოს წითელი ან შავი ფერის ბანქო. გამოცნობის შემთხვევაში მოგება გაორმაგდება. აქვს დენომინაციის სისტემა : 0,03; 0,05; 0,10; 0,20ლ.

Witches Charm – 15 ხაზიანი თამაშია. გადახდა ხდება მარცხნიდან აქტიურ ხაზებზე. მარჯვნივ 3 ან მეტი სკატერ სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. 15 უფასო დატრიალების დროს მოგება მრავლდება 3-ზე. ჯოკერი ცვლის ყველა სიმბოლოს გარდა სკატერისა. თამაშს აქვს გაორმაგების სისტემა.

Jacks or better – 52 კარტიანი თამაშია. თამაში შედგება ორი რაუნდისაგან. 5 კარტიდან, რომლებიც გახსნილია ეკრანზე, მოთამაშე ირჩევს იმ კარტებს რომლებიც სურს რომ დაიტოვოს. პირველი ეტაპის შემდეგ, თუ მოთამაშეს ჩართული აქვს ავტომატური შეჩერება, მოთამაშეს შეთავაზებული ექნება კარტები რომლებიც სურს, რომ დაიტოვოს. მეორე რაუნდი იწყება კარტის არჩევიდან. მას შეუძლია შეცვალოს ბანქო დასტიდან მოსულ ბანქოზე მეორე რაუნდის ბოლოს, თუ მოთამაშეს აქვს მომგებიანი კომბინაცია, მაშინ ის იგებს კომბინაციის შესაბამის მოგებას.

Supreme Hot - არის 3 ხაზიანი და 9 სიმბოლოიანი თამაშია. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ კარტების კომბინაციების მიხედვით. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია.

Grace of Cleopatra – 10 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამში შედგენილია 10 კარტისგან რომლიდანაც ერთი სკატერია. სკატერი აქტიურდება ყველა ადგილზე. მოგება ხდება მარცხნიდან მარჯვნივ. თამაშს აქვს გადავების სისტემა. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება. შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Versailles Gold – 10 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამაში შედგება 10 კარტისაგან რომლიდანაც ერთი არის ჯოკერი და სკატერი. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ სკატერ სიმბოლოს გარდა, რომელიც აქტიურდება ყველა ადგილზე. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება, რომელიც იწყება 3 ან მეტი სკატერის ეკრანზე გამოჩენისას. შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Extra Star – 10 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამაში შედგება 9 ხაზისაგან რომლიდანაც 1 ჯოკერია. ყველა მოგება ხდება მარცხნიდან მარჯვნივ. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება ჯოკერის მეშვეობით. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Fortune Spells – 10 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია, რომელიც შედგება 10 კარტისაგან, საიდანაც 1 ჯოკერია. მოგება ხდება მარცხნიდან მარჯვნივ. სატერ სიმბოლო აქტიურია ყველა ადგილზე. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება, რომელიც იწყება სამი ან მეტი სკატერ სიმბოლოს გამოჩენისას. თამაშს აქვს ჯეკპოტის სისტემა.

Olympus Glory – 10 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია, რომელიც ითამაშება 10 კარტისაგან საიდანაც ერთი ჯოკერია და ერთი სკატერი. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა, რომელიც აქტიურდება ყველა ადგილას. თამაშს აქვს გადავების სისტემა. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება, რომელიც იწყება 3 ან მეტი სკატერ სიმბოლოს გამოჩენის შემდეგ. თამაშში ასევე შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Dice and Roll – 5 დოლურიანი და 10 ხაზიანი თამაშია. თამაში ითამაშება 10 კარტისაგან, რომლიდანაც ერთი ჯოკერია და სკატერი. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე. სკატერი აქტიურია ყველა ადგილზე. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია. თამაშში შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Game Of Luck – 5 დოლურიანი და 20 ხაზიანი თამაშია. თამაში ითამაშება 9 კარტისაგან, რომლიდანაც ერთი ჯოკერია, ერთი სკატერი, ხოლო ერთი სპეციალური სიმბოლო. გადახდა ხდება მარცხნიდან მარხვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერისა. თამაშს აქვს გაორმაგების ფუნქცია. თამაშში შესაძლებელია ჯეკპოტის მოგება.

Shining Crown –5 დოლურიანი და 10 ხაზიანი თამაშია. თამაში ითამაშება 11 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერია და 2 სკატერი. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა. სკატერის მოგება ემატება აქტიურ ხაზებზე შემდგარ მოგებებს. თამაშს აქვს გადავების სისტემა.

Egypt Sky – 5 დოლურიანი და 10 ხაზიაი თამაშია.თამაში ითამაშება 10 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერი და 1 სკატერია. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა. 3 ან მეტი სკატერ სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებების საშუალებებს. თამაშს აქვს გადავების სისტემა. შესაძლებელია უფასო დატრიალებების დროს მოგებული თანხის გადავება.

Book of Magic – 5 დოლურიანი და 20 ხაზიანი თამაშია. თამაში ითამაშება 13 კარტისგან რომელთაგანაც 1 ჯოკერია და 1 სკატერი. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა. თამაშში შესაძლებელია უფასო დატრიალებების მოგება. 3 ან მეტი სკატერ სიმბოლოს ეკრანზე გამოჩენისას იწყება უფასო დატრიალებები. თამაშს აქვს გადავების სისტემა. შესაძლებელია უფასო დატრიალებების დროს მოგებული თანხის გადავება.

Majestic Forest–5 დოლურიანი და 10 ხაზიაი თამაშია. თამაში ითამაშება 10 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერი და 1 სკატერია. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა. სკატერის მოგება დამოკიდებულია აქტიურ ხაზებზე შედგენილ კომბინაციებზე. Majestic Forest სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია.

Circus Brilliant – 5 დოლურიანი და 20 ხაზიანი თამაშია. თამაშია. თამაში ითამაშება 10 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერი და 1 სკატერია. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ. Circus Briliant სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. თამაშს აქვს გადავების სისტემა.

Halloween - 5 დოლურიანი და 20 ხაზიანი თამაშია. თამაშია. თამაში ითამაშება 13 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერია, 1 ექსტრა ჯოკერია და 1 სკატერია. ყველა მომგებიანი კომბინაცია გადახდილი იქნება მარცხნიდან მარჯვნივ გარდა სკატერისა. სკატერისა. სკატერის მოგება დამოკიდებულია აქტიურ ხაზებზე შედგენილ კომბინაციებზე. Halloween იძლევა უფასო დატრიალებებს. თამაშს აქვს გადავების სისტემა.

Venezia D'oro - 5 დოლურიანი თამაშია. თამაში ითამაშება 13 კარტისგან, რომელთაგანაც 1 ჯოკერი და 1 სკატერია. გადახდის გზები აქტიურდება დოლურების მეშვეობით: პირველი დოლურა ააქტიურებს – 3 მოგების შანსს. პირველი და მეორე დოლურა – 9 შანსს, პირველი, მეორე და მესამე – 27 შანსს, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე – 81 შანსს, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე – 243 შანსს. Venezia D'oro სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. სკატერის გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია.

Forest Band - 20 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამაში ითამაშება 12 კარტისაგან, რომლიდანაც 1 ჯოკერი და 1 სკატერია. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერის მოგებისა. Forest Band სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. 3 სკატერ სიმბოლოს ეკრანზე გამოჩენისას მოთამაშე იგებს 10 უფასო დატრიალებას. უფასო დატრიალებები იწყება START ღილაკზე დაჭერის შემდეგ და მიმდინარეობს ამოწურვამდე. უფასო დატრიალებების დროს ეკრანზე ჯოკერის სიმბოლოს გამოჩენისას ის რჩება გამოჩენის ადგილას და იღებს მონაწილეობას მომგებიანი კომბინაციების შედგენაში. უფასო დატრიალებების დასრულების დროს მოგებული ქულები ჯამდება, რომელიც მოთამაშეს შეუძლია გაადავოს.

Kangaroo Land – 20 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამაში ითამაშება 13 კარტისაგან, რომლიდანაც 1 სკატერი და 1 ჯოკერია. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერის მოგებისა. Kangaroo Land სიმბოლო არის სკატერ სიმბოლო. 3 ან მეტი სკატერ სიმბოლოს ეკრანზე გამოჩენისას იწყება უფასო დატრიალებები. უფასო დატრიალებების დროს ეკრანზე ჯოკერის სიმბოლოს გამოჩენისას ის რჩება გამოჩენის ადგილას და იღებს მონაწილეობას მომგებიანი კომბინაციების შედგენაში. უფასო დატრიალებების დასრულების დროს მოგებული ქულები ჯამდება, რომელიც მოთამაშეს შეუძლია გაადავოს.

The Explorers – 15 ხაზიანი და 5 დოლურიანი თამაშია. თამაში ითამაშება 11 კარტისაგან, რომლიდანაც 1 სკატერი და 1 ჯოკერია. გადახდა ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერის მოგებისა. The Explorers სიმბოლო არის სკატერ სიმბოლო. 3 სკატერ სიმბოლოეს ეკრანზე გამოჩენისას იწყება უფასო დატრიალებები. მოთამაშეს შეუძლია მოიგოს 10-დან 25-მდე უფასო დატრიალება 1-დან 5-მდე მამრავლის თანხლებით. უფასო დატრიალებების დასრულების დროს მოგებული ქულები ჯამდება, რომელიც მოთამაშეს შეუძლია გაადავოს.

Great Adventure – 5 დოლურიანი და 25 ხაზიანი თამაშია. მასში მონაწილეობს 9 კარტი, რომლიდანაც 1 სკატერია. მოგება ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერისა, რომელიც აქტიურდება ყველა პოზიციაზე. 3 ან მეტი სკატერ სიმბოლო იძლევა უფასო დატრიალებებს. უფასო დატრიალებებისას 3 ან მეტი სკატერის ეკრანზე გამოჩენისას უფასო დატრიალებების რიცხვი იზრდება. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია. შესაძლებელია უფასო დატრიალებების დროს დაგროვილი ქულების გადავება.

Ocean Rush – 5 დოლურიანი და 15 ხაზიანი თამაშია. თამაშში მონაწილეობს 12 კარტი, საიდანაც 1 სკატერი, 1 ჯოკერი და 1 ბონუს კარტია. მოგება ხდება მარცხნიდან მარჯვნივ აქტიურ ხაზებზე, გარდა სკატერისა. 3 ან მეტი Ocean Rush სიმბოლოს ეკრანზე გამოჩენისას იწყება უფასო დატრიალებები და მოთამაშე იგებს შესაბამის მამრავლებს. უფასო დატრიალებების დროს 3 ან მეტი ბონუს სიმბოლოს გამოჩენისას მოთამაშე იგებს დამატებით უფასო დატრიალებებს. თამაშს აქვს გადავების ფუნქცია.

